

ენდემური ხე-მცენარეების გავრცელების კანონზომიერებანი  
საქართველოში

ქეთევან გეგია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

მიმართულება : ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხემძღვანელი : ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## შინაარსი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი.....	3
ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
მასალა და მეთოდები.....	.8
შედეგები და დისკუსია.....	16
2. საქართველოში გავრცელებულ კავკასიის ენდემურ ხე-მცენარეთა პოტენციური გავრცელების მოდელირება და მონათესავე სახეობათა ბიოკლიმატური ნიშების შედარება.....	.18
დასკვნა.....	44
მადლობა .....	49
ბიბლიოგრაფია.....	50
დანართი1 .....	53
დანართი 2 .....	56
დანართი 3 .....	57

## აბსტრაქტი

ნაშრომში აღწერილია საქართველოში კავკასიის ენდემურ ხე-მცენარეთა გავრცელება, განხილულია იშვიათ ენდემურ სახეობათა ბიოკლიმატური ნიშის მახასიათებლები და თანამედროვე პოტენციური ბიოკლიმატური არელების მოდელირების შედეგები.

საქართველოში გვხვდება კავკასიის ენდემური ხე-მცენარეების ბოტანკურ-ნომენკლატურულ მონაცემთა საერთაშორისო ბაზების მიხედვით მიღებული 15 სახეობა: *Abies nordmanniana* (Steven) Spach, *Picea orientalis* (L.) Link , *Acer monspensaulanum* L.subsp.*iebericum* (M.Bieb.)Yalt, *Alnus glutonsa* (L) Gaertn. Subsp. *Barbata* (C. A. Mey. ) Yalt, *Betula medwediewii* Regel , *Betula megrelica* Sosn, *Betula raddeana* Trautv, *Corylus colchica* Abov, *Swida iebrica* (Woronow)Pojarc.ex.Grossh, *Quercus roburs* subsp.*imeretina* (Steven ex Woronow) Menitsky, *Quercus pontica* K.Koch , *Sorbus colchica* Zinserl, *Sorbus subfusca* (Ledeb.) Boiss, *Sorbus armeniaca* Hedl.(*Sorbus caucasica* Zinserl.), *Tilia begoniifolia* Steven.

ვერტიკალური ზონირების დასავლეთ კავკასიური ანუ კოლხური ტიპის ფლორა მოიცავს ენდემური ხე-მცენარეების, 13 სახეობას, რომელთაგან მცენარეულობის მხოლოდ კოლხური ტიპის ვერტიკალურ ზონებში გვხვდება 7. ზონირების აღმოსავლეთ კავკასიური ტიპის ფლორა მოიცავს ენდემური ხე-მცენარეების 8 სახეობას, რომელთაგან მცენარეულობის მხოლოდ აღმოსავლეთ კავკასიური ტიპის ვერტიკალურ ზონებში გვხვდება ენდემურ ხე-მცენარეთა 2 სახეობა. სამხრეთ-კავკასიური ანუ წინააზიური ტიპის ფლორა მოიცავს ერთადერთ სახეობას. ენდემურ ხე-მცენარეთა სახეობები ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება მცენარეული საფრის დასავლეთ კავკასიური ანუ კოლხური ტიპის სუბალპურ ზონაში.

იშვიათ ენდემურ სახეობებად მივიჩნით ის სახეობები, რომელთა ცნობილი ადგილმდებარეობების რაოდენობა არ აღემატებოდა 10-ს. ნაშრომში წარმოდგენილია ამ სახეობათა ბიოკლიმატური ნიშისა და პოტენციური ბიოკლიმატური არელების

მოდელირების შედეგები. პოტენციური გავრცელების ადგილების ცოდნა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს გაადვილებს ამ სახეობათა გავრცელების ახალი ადგილების მოძებნას სამომავლოდ მათი კონსერვაციის მიზნით.